Capadur Parkett- und SiegelLack

ერთკომპონენტიანი, გამჭვირვალე ლაქი - პარკეტის, ხის და გალაქული ზედაპირებისთვის. ინტერიერში გამოსაყენებლად.

Nach Trocknung des Anstrichs gemäß DIN EN 71-3 für KINDER-SPIELZEUGE geeignet

პროდუქტის აღწერა

გამოყენების სფეროები

გამჭირვალე დამასრულებელი ფენა პარკეტისა და კორპის იატაკებისთვის, საცხოვრებელ სივრცეებში. გამოიყენება ასევე, როგორც საბოლოო ფენა ლაქით და ლაზურით დაფარულ ზედაპირებზე.

თვისებები

- წყალდისპერსიული
- ერთკომპონენტიანი
- ძლიერ ცვეთამედეგი
- კარგი შევსების უნარით
- სწრაფად შრობადი
- ელასტიური
- საყოფაცხოვრებო საწმენდი საშუალებების მიმართ მედეგი
- გამოსადეგია საბავშვო სათამაშოებისთვის, DIN EN 71-3 სტანდარტის შესაბამისად

მასალის შემკვრელი

ერთ კომპონენტიანი პოლიურეთანი, წყალში ხსნადი

შეფუთვა

750 მლ, 2,5 ლ, 10 ლ

ფერი

გამჭირვალე

თხევად მდგომარეობაში და წასმის პროცესში ლაქს აქვს რძისფერი შესახედაობა, თუმცა შრობის შემდეგ თითქმის უფერული ხდება (თეთრ ზედაპირზე აღინიშნება ოდნავ მოყვითალო ტონალობა).

სიპრიალის ხარისხი

მბზინავი, აბრეშუმისებრი-მქრქალი

შენახვის პირობები

შეინახეთ გრილ ადგილას, მოარიდეთ ყინვას.
ვარგისია: 24 თვის განმავლობაში, მჭიდროდ თავდახურულ შეფუთვაში.

ტექნიკური პარამეტრები

- სიმკვრივე: დაახლ. 1.0 გ/სმ3
- მყარი სხეულების შემცველობა: დაახლ. წონის 30 %

გამოყენების სფეროების განსაზღვრა, ტექნიკური ინფორმაცია N. 606 - ის მიხედვით.

ინტერიერი 1	ინტერიერი 2	ინტერიერი 3	ექსტერიერი 1	ექსტერიერი 2
+	+	–	–	–
(–) არ არის შესაფერისი / (○) შეზღუდულად შესაფერისი / (+) შესაფერისი				

CAPAROL

გამოყენება

შესაფერისი ზედაპირები	ხის იატაკი, პარკეტი, OSB-ს ფილები, კიბის საფეხურები და სხვა ხის ზედაპირები. კორპის იატაკი, ასევე ლაქით ან ლაზურით დაფარული ზედაპირები. ზედაპირი უნდა იყოს მშრალი, სუფთა და ადჰეზიის დამაბრკოლებელი ნივთიერებებისგან თავისუფალი. არ გამოიყენოთ წყალხსნადი საკალასით დაფარულ ზედაპირზე. უკვე დანაფარ ზედაპირზე დაიტანეთ სატესტო დანაფარი ადჰეზიის შესამოწმებლად.
ზედაპირის მომზადება	ზედაპირი საფუძვლიანად გაიშლიფოს და გასუფთავდეს. ძველი პარკეტის ლაქის ნარჩენები მოშორდეს მთლიანად. ლაქით და ლაზურით დაფარული ზედაპირები დაიშლიფოს აბრაზიული ფლისით.
დატანის მეთოდები	Capadur Parkett- und SiegelLack-ი გამოყენებამდე საფუძვლიანად ამოურიეთ. საგრუნტი საფარი საჭიროების შემთხვევაში გააზავეთ მაქს. 20% წყლით. ლაქის დატანა შესაძლებელია ფუნჯით, ჯაგრისით ან გორგოლაჭით. დაუმუშავებელი ხის ზედაპირებზე დაიტანეთ 2-3 ფენა, შეწოვის უნარის მიხედვით. OSB-ფილებზე დაიტანეთ 3-4 ფენა. გამზადებული პარკეტის და სხვა ლაქწასმულ ზედაპირებზე დაიტანეთ ერთი, საბოლოო ფენა.
ხარჯი	დაახლოებით 100-150 მლ/მ2 ერთ ფენაზე, გამომდინარე ზედაპირის სტრუქტურისა და შეწოვის თვისებებიდან.
გამოყენების პირობები	**მასალის გარემოს და ზედაპირის მინიმალური ტემპერატურა:** გარემოს, მასალის და ზედაპირის ტემპერატურა: მინიმუმ +12°C. ჰაერის ტენიანობა არ უნდა აღემატებოდეს 70%-ს.
შრობის დრო	20° C ტემპერატურისა და 65%-იანი ჰაერის ტენიანობის პირობებში ზედაპირი დასაშლიფად და ხელმეორე ფენის დატანისთვის მშრალია 12 საათში ,ხოლო 24-36 საათში შესაძლებელია მისი დატვირთვა. წყლით და საწმენდი საშუალებებით გაწმენდა, ასევე ხალიჩის დაგება შეიძლება 1 კვირაში.
შენიშვნა	**მოვლა და წმენდა:** Capadur Parkett- und SiegelLack-ი იწმინდება რბილი ცოცხით ან მტვერსასრუტით. დაბინძურებული ადგილები გაწმინდეთ ოდნავ სველი ჩვრით. საწმენდ წყალს შესაძლებელია გაურიოთ საყოფაცხოვრებო იატაკის საწმენდი საშუალება. ყურადღება მიაქციეთ საწმენდი საშუალების ეტიკეტზე აღნიშნულ მითითებებს. არ გამოიყენოთ გამხსნელი საშუალებები. ისეთ ადგილებში, რომლების განსაკუთრებულად ექვემდებარება დაბინძურებას (მაგ. დერეფანი, შემოსასვლელი კარი და ა.შ.) რეკომენდებულია ნოხის დაგება. სასურველია ავეჯის ფეხები აღიჭურვოს თექის ქვეშსაგებით.

მითითებები

რისკები / რჩევები უსაფრთხოებისთვის	მოარიდეთ ბავშვებს! არ დაუშვათ კანალიზაციაში, წყლის მილებსა თუ ნიადაგში მოხვედრა. თვალებთან კონტაქტისას: რამოდენიმე წუთის განმავლობაში გამოიბანეთ თვალები წყლით, ამოიღეთ საკონტაქტო ლინზები, განაგრძეთ თვალების გამობანა. კანთან კონტაქტისას: დაუყოვნებლივ დაიბანეთ წყლით და საპნით. ხელსაწყოები გამოყენებისთანავე გარეცხეთ წყლით და საპნით. საშლიფი სამუშაოებისას გამოიყენეთ მტვრის ფილტრი P2. შეიცავს: 1,2-ბენზიზოთიაზოლ-3(2H)-ონი.
უტილიზაცია	მეორადი გადამუშავებისათვის ჩააბარეთ მხოლოდ ცარიელი შეფუთვა. მასალის ნარჩენი თხევადი მასა შესაძლებლია უტილიზირებულ იქნას ძველი ლაქების მიმღებ პუნქტში.
VOC (აქროლადი ორგანული შენაერთების ზღვრული კონცენტრაცია ევროკავშირის სტანდარტის შესაბამისად)	პროდუქტის კატეგორია (Kat. A/i): 140 გ/ლ (2010). ეს პროდუქტი შეიცავს მაქსიმუმ 140 გ/ლ აქროლადი ორგანულ ნივთიერებებს (VOC).
Giscode	W3+
ტექნიკური კონსულტაცია	მოცემული ტექნიკური ინფორმაციის ფარგლებში შეუძლებელია მოცემული იქნას რჩევა პრაქტიკაში არსებული ყველა ზედაპირის და მათი დამუშავების შესახებ. იმ შემთხვევაში, თუკი დასამუშავებელი ზედაპირი არ არის შესული ამ ინფორმაციაში, კონსულტაციისათვის მიმართეთ კაპაროლის ოფისს, ან ადგილს, სადაც მოხდა პროდუქტის შეძენა. კომპანია კაპაროლი სიამოვნებით გაგიწევთ კონსულტაციას კონკრეტულ შემთხვევასთან დაკავშირებით.

შპს. კაპაროლ ჯორჯია
ალ.ქართველიშვილის ქ. N°8
0198 თბილისი, საქართველო
ელ.ფოსტა: office@caparol.ge
www.caparol.ge